ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №20

2018 წლის 18 იანვარი

დაბა ადიგენი

ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების, საშტატო ნუსხის დამტკიცების და თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ.ვ“ და „დ.ე“ ქვეპუნქტების, საქართველოს კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

დამტკიცდეს ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირება, საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოები დანართის შესაბამისად.

მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების, საშტატო ნუსხის დამტკიცების და თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ივნისის №26 დადგენილება (www.matsne.gov.ge, 30/06/2017, 010250050.35.137.016283) .

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2018 წლის პირველი იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

ადიგენის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — იმედა მღებრიშვილი

დანართი

ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირება, საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოები

№	რანგირება	თანამდებობის დასახელება	რიცხოვნობა	თანამდებობრივი სარგო
1		საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირები	16	
		საკრებულოს თავმჯდომარე	1	2650
		საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	1	1700
		იურიდიულ საკითხთა კომისიის		

		თავმჯდომარე	1	1350
		საფინანსო-საბიუჯეტო, ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე	1	1350
		ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური საკითხთა კომისიის თავმჯდომარე	1	1350
		გარემოს დაცვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე	1	1350
		კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე	1	1350
		საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	5	1350
		საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	4	1000
2		**საკრებულოს აპარატი**	**8**	
	I რანგი	საჯარო დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	1	1300
	II რანგი	საჯარო დაწესებულების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	1	1000
	III რანგი	საჯარო დაწესებულების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	5	600
	III რანგი	საჯარო დაწესებულების მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	600